

შპს ემ ეს გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. ფუნქციონირებადი საწარმო	8
4. ახალი და შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	14
7. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.....	14
8. საკუთარი კაპიტალი	14
9. დებიტორული დავალიანება	14
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	15
11. ნასესხები სახსრები.....	15
12. ფინანსური რისკის მართვა	15
13. შემდგომი მოვლენები	15

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	335,957	842,543
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	317,076	842,543
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	-	-
სხვა	18,881	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(80,747)	(175,529)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადაშვების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	255,510	667,014
სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(561,738)	(282,438)
ცვეთა და ამორტიზაცია	(59,129)	(64,357)
საპროცენტო შემოსავალი:	1,556	18,315
საპროცენტო ხარჯი:	(9,295)	(6,430)
ოჯარის ხარჯი	(56,576)	(95,437)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(142,142)	(457,197)
სულ საოპერაციო ხარჯები	(908,071)	(1,063,073)
საოპერაციო მოგება	(572,114)	(220,530)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(3,396)	(15,710)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(17,720)	14,110
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(593,230)	(222,130)
მოგების გადასახადი	-	(2,072)
მოგება/(ზარალი)	(593,230)	(224,202)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(593,230)	(224,202)
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	(593,230)	(224,202)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	-	-
მოგება/(ზარალი)	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	(593,230)	(224,202)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(593,230)	(224,202)
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,260,425	1,486,642
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	(2,015)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	667,195	1,260,425

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,131	251,870
სავაჭრო მოთხოვნები	393,405	453,857
გადახდილი ავანსები	2,964	7,490
მარაგები	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სხვა	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	4,333	5,541
ბიოლოგიური აქტივები	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-
გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	13,382	13,382
სხვა არამატერიალური აქტივები	9,624	11,761
ძირითადი საშუალებები	327,842	387,963
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	97,823	97,823
სხვა გრძელვადიანი აქტივები	281,987	217,880
სულ აქტივები	1,134,491	1,447,567
ვალდებულებები		
ფინანსური ოჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	197,001	125,286
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	508
გამოუქმავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	243,000	61,348
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10,069	-
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	17,226	-
სულ ვალდებულებები	467,296	187,142
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	242,074	242,074
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	425,121	1,018,351
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	667,195	1,260,425
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	667,195	1,260,425
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,134,491	1,447,567

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(348,144)	(229,315)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	86,555	(45,818)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(261,589)	(275,133)
სავალუტო კურსის ეფექტი	12,850	(8,692)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	251,870	535,695
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,131	251,870

ხელმოწერილ და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი
 კონსტანტინე ტარახჩევი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ემ ეს გრუპი (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 404941756, არის 2012 წლის 20 აპრილს თბილისში, საქართველოში, დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საირმის ქუჩა N 11, ბ 24, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილი არის პეკინის ქუჩა N5, თბილისი, საქართველო.

კომპანიას ჰყავს შვილობილი საწარმო, შპს ჰამბურგი, რომლის 100%-იანი წილის მფლობელიცაა. შვილობილი საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა რადიო მაუწყებლობა (FM 95.9), რომლის ძირითადი საქმიანობის ადგილი არის პეკინის ქუჩა N5, თბილისი, საქართველო. კომპანია, თავის შვილობილ კომპანიასთან ერთად, შეადგენს კომპანიების ჯგუფს (შემდგომში „ჯგუფი“).

ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი გამოიყურება:

მიხეილ ტარახივეი (პ/ნ 01024024195), საქართველო	50%
ლენსი ჰულიან ჯია (G61683631; FP2428068) , ფინეთი	50%
	100%

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელების მიერ. მფლობელებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

ჯგუფის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის , რომლებიც შეფასებულია გადაფასებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, რაც განმარტებულია ქვემოთ, სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვევლობა, რის გამოც შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან. დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. ახალი და შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს გარკვეული დაბალი ღირებულების მქონედ მიჩნეული აქტივების იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- ▶ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგება/გარიგებები;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება.

თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული ნამეტ შემოსავალს ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

(ბ) სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც მშობელი კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

გარიგებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სავალუტო სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის აღიარების შესაბამისად.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(გ) შემოსავლი

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი წყაროებია: რადიო რეკლამა და კონტენტის მომზადება როგორც რადიო მაუწყებლობისათვის ასევე თანამედროვე სოც მედიისთვის და ვებ გვერდისათვის.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის უფლებას უპირობო საზღაურის თანხაზე (ანუ მხოლოდ დროის გასვლა აუცილებელი საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე). სავაჭრო დებიტორული დავალიანება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია „დებიტორული დავალიანების“ მუხლში.

(დ) გადასახადით დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო

ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება).

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(ე) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- (ა) მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- (ბ) ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- (გ) მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- (დ) აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- (ა) მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- (ბ) ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- (გ) დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- (დ) არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

5.

5. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორცაა შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რომელშიც ეს ხარჯები გაიწია.

აღჭურვილობასა და ავტომობილებზე ცვეთის დარიცხვისთვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

*ფინანსური აქტივები**პირველადი აღიარება და შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ჯგუფი ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალდებულო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ქვემოთ მოცემულია შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

6. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	<i>2019</i>	<i>2018</i>
სასესხო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	9295	6430
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	9295	6430

7. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 242 074 ლარს შეადგენს.

8. დებიტორული დავალიანება

	<i>31 დეკემბერი 2019</i>	<i>31 დეკემბერი 2018</i>
მომსახურებასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	393405	453857
დებიტორული დავალიანება	393405	453857

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2018 წ.</i>
ნაღდი ფული სალაროში	279	281
ნაღდი ფული ბანკში	2852	251589
სულ	3131	251870

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში შედგება რეზიდენტ ბანკებში გახსნილი მიმდინარე ანგარიშებისგან.

10. ნასესხები სახსრები

	<i>გადა</i>	<i>ვალუტა</i>	<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2018 წ.</i>
სესხები				
ქართული კომერციული ბანკის სესხი	მარტი 2020	აშშ დოლარი	10069	61348
ფიზიკური პირი			243000	0
სულ			253069	61348

11. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრებისგან, სუბორდინირებული სესხებისგან, ფინანსური იჯარის ვალდებულებებისა და კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. ჯგუფს აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული დებიტორული დავალიანება, გაცემული სესხები და ნაღდი ფული მიმდინარე ანგარიშებზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

12. შემდგომი მოვლენები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც, მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ჯგუფი პანდემიას განიხილავს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად, რომლის რაოდენობრივი ეფექტის გავლენის სარწმუნოდ შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია.